საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

11/02/2022
N 09-02-16/63

63-09-02-16-2-202202111440

ქალაქ ბათუმის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ:

1. ეთანხმებით თუ არა, რომ უკანონოდ მიმდინარეობს 05.29.17.054 და 05.29.17.075 საკადასტრო კოდებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობა? ასევე თქვენი აზრით იკვეთება თუ არა თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან გულგრილობა, თანამომაწილეობა უკანონო მშენებლობაში, როცა რიგითი მოქალაქე თუ უკანონოდ აშენებს, თუნდაც ჯიხურს მერია ახორციელებს დემონტაჟს ხოლო ამ შემთხვევაში დემონტაჟის გადაწყვეტილებას არ იღებს. თქვენი აზრით დანაშაულის ნიშნებს შეიცავს თუ არა მერიის უმოქმედობა/მოქმედება და რა რეაგირებას ახდენთ?
2. ქ. ბათუმში რიგითმა მოქალაქემ რომ დაიწყოს უკანონო მშენებლობა და მიუხედავად მერიის მიერ დაჯარიმებისა გააგრძელოს მშენებლობა, მიიღებთ თუ არა დემონტაჟის გადაწყვეტილებას?
3. როცა უკანონოდ აშენებულ შენობებში შესახლებულია ასეულობით ადამიანი და ცხოვრობენ საფრთხის ქვეშ, რადგან არც მშენებლობის ნებართვაა გაცემული და არც ექსპლუატაციაშია მიღებული, იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე, რისკებსა და შესაძლო მძიმე შედეგებზე?

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"